

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
13 აპრილი 1998 წ.
რეგისტრაციის ნომერი
430.003.000.141

ძალაშია 1994 წლის 16 მაისიდან

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა,
შემდგომში - "მხარეები",

რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაამყარონ და განავითარონ მეგობრული
თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ორი ქვეყნის საბაჟო უწყებებს შორის, მზად
არიან, ხელი შეუწყონ საქონლისა და მგზავრთა დინებას ორ ქვეყანას შორის საბაჟო
ხელმძღვანელობის ორმხრივი თანამშრომლობის გზით,

მხედველობაში იღებენ, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა ზიანს აყენებს
ორივე ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და ფინანსურ ინტერესებს,
დარწმუნებულნი არიან, რომ ბრძოლა საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ უფრო
ეფექტური იქნება თანამშრომლობის საფუძველზე და

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ამ ხელშეკრულებაში:

1. "საბაჟო კანონმდებლობა" - გულისხმობს სამართლის იმ ნორმების
ერთობლიობას, რომლებიც ადგენენ საქონლის, მგზავრთა ხელბარგისა და ტვირთის,
საერთაშორისო საფოსტო გზავნილების, სავალუტო და სხვა ფასეულობების შემოგანის,
გატანისა და ტრანზიტის, საბაჟო გადასახადებისა და სხვა სახის გადასახადების,
მოსაკრებლების ამოღების, შეღავათების, აკრძალვების, შემლუღებისა და
ნებართვების, სახელმწიფო საზღვარზე საქონლისა და სხვა საგნების გადაადგილებაზე
კონტროლის წესებს;

2. "საბაჟო დარღვევები" - ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას ან ამ
დარღვევების მცდელობას.

მუხლი 2

მხარეები ამ შეთანხმების ფარგლებში განავითარებენ და გააძლიერებენ ურთიერთანამშრომლობას საბაჟო გამოცდილების გაზიარების გზით, უზრუნველყოფენ ერთმანეთისათვის ადმინისტრაციულ დახმარებას, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას და პირადი შემადგენლობის გაცვლას.

მუხლი 3

შეთანხმების მონაწილე მხარეები გაცვლიან ინფორმაციას:

- ა) საბაჟო სამსახურის როლზე ეროვნულ ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში;
- ბ) საბაჟო კონტროლის მეთოდების შესახებ საქონლის, საგრანსპორტო საშუალებების, ბარგის, საფოსტო გზავნილების და სხვა ნივთების ამ ქვეყნების ტერიტორიაზე შეგანა - გამოგანის დროს;
- გ) ჰარმონიზებული სისტემისა და შეფასების მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ;
- დ) კონტრაბანდის ძირითად ფორმებზე, კონტრაბანდული საგნების დამალვის მეთოდებზე, კონტრაბანდის თავიდან აცილების მეთოდებსა და შედეგებზე;
- ე) საბაჟო კანონებსა და წესებზე;
- ვ) საბაჟო მართვის მოდერნიზაციის შესახებ;
- ზ) საბაჟო საქმეში კომპიუტერებისა და სხვა მოწინავე ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ;
- თ) ახალი საბაჟოების შექმნის თაობაზე. საბაჟო პერსონალის მომზადების შესახებ;
- ი) საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და საერთაშორისო კონვენციების შესრულების შესახებ;
- კ) და იმ სხვა საკითხებზე, რომლებიც შეთანხმების მონაწილე ორივე მხარეს დააინტერესებს.

მუხლი 4

მხარეები მზარდი ეკონომიკური ურთიერთობის უზრუნველსაყოფად იღებენ ვალდებულებას ახალი საბაჟო გამშვები პუნქტების მოწყობის შესახებ შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებითა და კომუნიკაციების მიყვანით. აღნიშნულ საკითხზე ცალკე შეთანხმება იქნება მიღებული.

მუხლი 5

მხარეები შეთანხმების მოქმედების განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით გაცვლიან საბაჟო საქმის სპეციალისტებს.

მუხლი 6

ერთ-ერთ მხარის თხოვნით, მეორე მხარეს თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში შეუძლია განსაზღვრული პერიოდით სპეციალური

დაკვირვება:

ა) პირებზე, რომლებიც შემჩნეულნი არიან მთხოვნელი მხარის საბაჟო წესების დარღვევაში;

ბ) განსაზღვრულ გვირთებზე, რომელთა შესახებ მთხოვნელმა მხარემ განაცხადა, რომ ეს გვირთები დაკავშირებული არიან საბაჟო დარღვევასთან;

გ) საგრანსპორტო საშუალებებზე (ავიაცია, ავტომობილები და სხვა), რომელთა შესახებ არსებობს ინფორმაცია, რომ მათ მთხოვნელი მხარის საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისას იყენებენ.

მუხლი 7

შეთანხმების მონაწილე თითოეულ მხარეს საკუთარი თაოსნობით ან მეორე მონაწილე მხარის თხოვნით, შეუძლია წარუდგინოს მთხოვნელ მხარეს ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას სხვადასხვა სახის საბაჟო წესების, განსაკუთრებით ისეთი დარღვევების აღმოჩენაში, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან, იარაღთან, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან და საბრძოლო მასალებთან, მხატვრული, კულტურული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე საგნებთან.

მუხლი 8

მიღებული ნებისმიერი საღამვერვო დაკვირვება, დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია ამ შეთანხმების ფარგლებში განიხილება როგორც კონფიდენციალური და მხოლოდ ამ შეთანხმების მიზნებისათვის გამოიყენება

მუხლი 9

თუ ერთ-ერთი მხარე ჩათვლის, რომ დახმარება, რომელსაც მას სთხოვენ, ქვეყნის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, ან სხვა ხასიათის ეროვნულ, სახელმწიფო ან კერძო სექტორის სავაჭრო ინტერესებს, ან მოქმედ კანონმდებლობას შელახავს, მას შეუძლია ასეთი დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმა.

მუხლი 10

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ყველაზე უფრო ეფექტური ფორმებით განხორციელდება. ინგლისურ ენას შეთანხმების მონაწილე მხარეები პირდაპირი კონტრაქტებისათვის იყენებენ.

მუხლი 11

მხარეებს შეუძლია ცალკე შეთანხმდნენ იმ ხარჯების თაობაზე, რომლებიც ამ შეთანხმების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მუხლი 12

შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეებს შეუძლია მონაცვლეობით მოაწყონ უმაღლესი დონის შეხვედრები ხან ერთ, ხან მეორე სახელმწიფოში. მხარეები შეხვედრის თარიღსა და დღის წესრიგს წინასწარ განსაზღვრავენ. მხარეები შეთანხმების ინტერპრეტაციის დროს წამოჭრილ სადავო საკითხებს მეგობრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საფუძველზე კონსულტაციების გზით გადაწყვეტენ.

მუხლი 13

ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ დღიდან, როცა მხარეები გაცვლიან ნოტებს, რომლებითაც ერთმანეთს აუწყებენ ამ შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ შიდა ფორმალობების დასრულებას და ძალაშია განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ერთ-ერთი მხარის მიერ მეორისათვის შეთანხმების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დღიდან ნ-თვიანი ვადა არ დასრულდება.

შესრულებულია ქ. ანკარაში 1994 წლის 13 იანვარს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი თანაბარი ძალისაა. დებულებების განმარტების დროს წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა ინგლისურ ტექსტს.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

თურქეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით